ინფორმაციის ტექნოლოგიების სპეციალისტთა პროფესიული კავშირი

წ ე ს დ ე ბ ა

2018 წელი

1. ზოგადი დებულებები

1.1 „ინფორმაციის ტექნოლოგიების სპეციალისტთა პროფესიული კავშირი“ (შემდგომში პროფკავშირი) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის მიზანია თავისი წევრების შრომითი, სოციალურ–ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა.

1.2 პროფკავშირი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

1.3 პროფკავშირი, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.4 პროფკავშირს შეიძლება ჰქონდეს თავისი სიმბოლოები (დროშა, ემბლემა, ვიმპელი, სამკერდე ნიშანი), მრგვალი ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, განცალკევებული ქონება, საანგარიშსწორებო საბანკო ანგარიშები როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში.

1.5 პროფკავშირი უფლებამოსილია საკუთარი სახელით შეიძინოს ქონება, დადოს ხელშეკრულებები, შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების თანახმად დააფუძნოს პირველადი ორგანიზაციები. იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

1.6 პროფკავშირი დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, მეწარმეთა (დამსაქმებელთა) გაერთიანებების (ასოციაციების), პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან.

1.7 პროფკავშირს შეუძლია ჰქონდეს პირდაპირი ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტები სხვა იურიდიულ თუ კერძო პირებთან, მონაწილეობდეს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებს. საკუთარ ვალდებულებებზე პროფკავშირი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

1.8 პროფკავშირის სრული დასახელებაა:

ქართულად: ინფორმაციის ტექნოლოგიების სპეციალისტთა პროფესიული კავშირი

ინგლისურად: IT specialist’s professional union

1.9 პროფკავშირის იურიდიული მისამართია: ოზურგეთი, თავისუფლების №17

1.10 პროფკავშირის ელ.ფოსტის მისამართია ltgeorgia@gmail.com

2. პროფკავშირის წევრობა და უფლება–მოვალეობანი

2.1 პროფკავშირი წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში დასაქმებული მუშაკების ნებაყოფლობით გაერთიანებას, საერთო ინტერესების, მიზნების, ამოცანებისა და საქმიანობის პრინციპების საფუძველზე.

2.2 პროფკავშირის წევრობა ნებაყოფლობითია.

2.3 პროფკავშირის წევრად მიღება ხდება წევრობის მსურველის მატერიალური ან ელექტრონული წესით შედგენილი განცხადების საფუძველზე. განცხადებას უნდა ერთვოდეს პროფკავშირის წევრობის მსურველი პირის საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში დასაქმების, ან შესაბამის/მომიჯნავე პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მისი სტუდენტობის დამადასტურებელი საბუთები. განცხადებას განიხილავს პროფკავშირის კომიტეტი და გადაწყვეტილებას იღებს წევრთა უმრავლესობით.

2.4 პროფკავშირის კომიტეტი წევრობის შესახებ გადაწყვეტყვეტილებას იღებს მისი მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში

2.5 2.4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში პროფკავშირის კომიტეტის მიერ მიუღებლობის შემთხვევაში იგულისხმება, რომ პროფკავშირის წევრობის მსურველ პირს უარი ეთქვა პროფკავშირის წევრობაზე.

2.6 პროფკავშირის წევრი აღრიცხვაზეა მისი სამუშაო ადგილის მიხედვით.

2.7 პროფკავშირიდან გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) წევრის ინდივიდუალური განცხადება პროფკავშირის წევრობის დატოვების შესახებ.

ბ) საწევრო გადასახადის გადაუხდელობა, ან წესდებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების არასაპატიო მიზეზით შეუსრულებლობა ზედიზედ სამი თვის განმავლობაში

გ) სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.

დ) პროფკავშირის საქმიანობისთვის ხელის შეშლა, მისი ავტოროტეტის შელახვა

ე) პროფკავშირის მიზნებისა და ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება

2.8 პროფკავშირის წევრთა ⅓ –ის ან კომიტეტის წევრის მატერიალური ან ელექტრონული განცხადების საფუძველზე, წევრის პროფკავშირიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროფკავშირის კომიტეტი, წევრთა ⅔–ის უმრავლესობით.

2.9 პროფკავშირის წევრს უფლება აქვს:

2.9.1 აირჩიოს და არჩეულ იქნას პროფკავშირის ნებისმიერ ორგანოში. ჰქონდეს საკუთარი აზრი პროფკავშირის მუშაობის და ხელმძღვანელობის შესახებ. თავისუფლად გამოთქვას და პრინციპულად დაიცვას საკუთარი პოზიცია. მონაწილეობდეს პროფკავშირის მიერ დაგეგმილ ნებისმიერ ღონისძიებასა და საქმიანობაში. გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესში და მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელებაში. მონაწილეობა მიიღოს პროფკავშირის ყველა დონის ორგანოს მუშაობაში. ისარგებლოს პროფკავშირის უფასო იურიდიული კონსულტაციით.

2.9.2 მიმართოს პროფკავშირულ ორგანოს რჩევისა და დახმარებისათვის, შეკითხვებით, განცხადებებით, წინადადებებით და მოითხოვოს მათგან სათანადო პასუხი.

2.9.3 მიიღოს უფასო კონსულტაციები და სამართლებრივი დაცვა ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი დავების განხილვისას.

2.9.4 მიიღოს ინფორმაცია პროფკავშირის ორგანოების მუშაობის შესახებ.

2.9.5 გავიდეს პროფკავშირიდან.

2.10 პროფკავშირის წევრი ვალდებულია:

2.10.1 აქტიურად მიიღოს მონაწილეობა პროფკავშირის მიერ განხორციელებულ აქტივობებში

2.10.2 გაუფრთხილდეს პროფკავშირის ავტორიტეტს

2.10.3 დადგენილი წესით გადაიხადოს საწევრო გადასახადი

2.11 სხვა პირობები

2.11.1 პროფკავშირიდან გასული (გარიცხული) მუშაკი კარგავს უფლებას საერთო ქონებაზე. მას საწევრო შენატანის თანხა არ უბრუნდება.

2.11.2 პროფკავშირიდან გასული (გარიცხული) მუშაკი შეიძლება კვლავ იქნას მიღებული ამ წესდებით განსაზღვრული წესით.

2.11.3 კომიტეტის უბრალო უმრავლესობის, ან წევრთა ⅔ –ის გადაწყვეტილებით პროფკავშირში აქტიური, ნაყოფიერი მუშაობისათვის პროფკავშირის წევრი შეიძლება წახალისდეს მატერიალურად, დაჯილდოვდეს პროფკავშირის სიგელით ან ფასიანი საჩუქრით.

3. პროფკავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა

პროფკავშირი შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან:

1. პროფკავშირის წევრთა საერთო კრება
2. პროფკავშირის კომიტეტი
3. პროფკავშირის აღმასრულებელი დირექტორი

3.1 პროფკავშირის წევრთა საერთო კრება

3.1.1 პროფკავშირის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პროფკავშირის წევრთა საერთო კრება (შემდგომში კრება).
3.1.2 კრება მოიწვევა მინიმუმ 2 წელიწადში ერთხელ. წევრთა 50%+1 ხმით უმრავლესობის, ან კომიტეტის წევრთა ⅔–ის მოთხოვნით შეიძლება მოწვეულ იქნას რიგგარეშე კრება
3.1.3 კრება შეიძლება ჩატარდეს ორი ფორმით: წევრთა უშუალო შეკრება, ან წევრთა შეკრება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.
3.1.4 რიგითი კრების ჩატარების ფორმას და თარიღს განსაზღვრავს კომიტეტი, ხოლო რიგგარეშე კრების შემთხვევაში– კომიტეტი, ან ის წევრები, რომელთა მოთხოვნითაც ხდება რიგგარეშე კრების მოწვევა.
3.1.5 რიგითი კრების დღის წესრიგს ამტკიცებს პროფკავშირის კომიტეტი, ხოლო რიგგარეშე კრების შემთხვევაში კომიტეტი, ან ის წევრები, რომელთა მოთხოვნითაც ხდება რიგგარეშე კრების მოწვევა.
3.1.6 კრების სხდომას თავმჯდომარეობს პროფკავშირის აღმასრულებელი დირექტორი, მის მიერ ამ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში კრების უბრალო უმრავლესობით არჩეული პროფკავშირის წევრი.
3.1.7 კრების ჩატარების შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს მატერიალური ან ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით, ჩატარებამდე მინიმუმ 30 დღით ადრე.
3.1.8 კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ⅔
3.1.9 კრება თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, ღია ან ფარული კენჭისყრით, იღებს დადგენილებას, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე. დადგენილება რეგისტრაციაში ტარდება კომიტეტის მიერ.
3.1.20 კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

A. პროფკავშირის წესდების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა
B. პროფკავშირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა
C. პროფკავშირის კომიტეტის წევრთა არჩევა
D. პროფკავშირის კომიტეტისა და აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა
E. სხვა პროფკავშირებთან ასოციაციაციაში (გაერთიანებაში) შესვლა, ან გამოსვლა
F. პროფკავშირის ლიკვიდაცია, საქმიანობის შეჩერება ან რეორგანიზაცია

3.1.21 კრება გადაწყვეტილებას იღებს მარტივი უმრავლესობით, ხოლო 3.1.20 მუხლის A, E და F პუნქტებთან დაკავშირებულ საკითხებზე დამსწრე წევრთა ⅔ –ის უმრავლესობით.

3.1.22 კრების გადაწყვეტლება შესასრულებლად სავალდებულოა პროფკავშირის სხვა ორგანოების, თანამდებობის პირებისა და წევრებისთვის
3.1.23 კრება უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც შეტანილი იქნება სხდომის დღის წესრიგში

3.2 პროფკავშირის კომიტეტი

3.2.1 პროფკავშირის წევრთა საერთო კრებებს შორის პერიოდში მმართველობის უმაღლესი ორგანოა პროფკავშირის კომიტეტი (შემდგომში კომიტეტი).
3.2.2 კომიტეტი შედგება 7 წევრისგან.
3.2.3 კომიტეტის წევრებს, 2 წლის ვადით, პროფკავშირის წევრებისგან ირჩევს პროფკავშირის წევრთა საერთო კრება.
3.2.4 პროფკავშირის კომიტეტის წევრს შეიძლება უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს:

A. საკუთარი განცხადების საფუძველზე
B. პროფკავშირის წევრთა ⅔ –ის გადაწყვეტილებით
C. კომიტეტის გადაწყვეტილებით, თუ ის ზედიზედ 3 თვის განმავლობაში ვერ ახერხებს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას

3.2.5 თუ კომიტეტის წევრს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, მის ადგილს, დარჩენილი ვადით, დაიკავებს არჩევნებზე დაგროვილი ქულებით მისი მომდევნო კანდიდატი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში ადგილს დაიკავებს პროფკავშირის უხუცესი წევრი.
3.2.6 კომიტეტის სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ, მისი წევრების ⅓ –ის ან პროფკავშირის აღმასრულებელი დირექტორის ინიციატივით.
3.2.7 კომიტეტის სხდომა შეიძლება ჩატარდეს ორი ფორმით: წევრთა უშუალო შეკრება, ან წევრთა შეკრება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.
3.2.8 კომიტეტის წევრებს სხდომის ჩატარების შესახებ უნდა ეცნობოთ 2 სამუშაო დღით ადრე. თუ კომიტეტის ყველა წევრი თანახმაა, სხდომა შეიძლება ჩატარდეს დაჩქარებულ რეჟიმში, ორდღიანი ვადის გასვლამდე.
3.2.9 კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება პროფკავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. მათ შორის (და არა მხოლოდ):

A. პროფკავშირის წევრობის მსურველთა განცხადებების განხილვა
B. პროფკავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის წარმოება
C. პროფკავშირის მატერიალური და არამატერიალური აქტივების განკარგვა
D. პროფკავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები

3.2.10 კომიტეტი თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს განკარგულებას.
3.2.11 კომიტეტის საქმიანობის ფორმაა კომიტეტის სხდომა, რომელიც შეიძლება გაიმართოს ორი ფორმით: კომიტეტის წევრთა უშუალო შეკრება, ან წევრთა შეკრება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.
3.2.12 კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ⅔
3.2.13 სხდომა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული
3.2.14 თუ სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხმები თანაბრად გაიყო, გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის პროფკავშირის აღმასრულებელ დირექტორს

3.3 პროფკავშრის აღმასრულებელი დირექტორი

3.3.1 პროფკავშირის აღმასრულებელი დირექტორი (შემდეგში დირექტორი) არის პროფკავშირის თანამდებობის პირი, რომელსაც, თავისი შემადგენლობიდან, 1 წლის ვადით ირჩევს პროფკავშირის კომიტეტი
3.3.2 დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება:

A. პროფკავშირის საერთო ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა
B. კომიტეტთან შეთანხმებით, პროფკავშირის სახელით სხვა პირებთან მოლაპარაკებების წარმოება
C. კომიტეტთან შეთანხმებით, პროფკავშირის სახელით სხვა პირებთან ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და მემორანდუმების გაფორმება
D. პროფკავშირის მიერ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა სამსახურებრივი კონტროლი, ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა

3.3.3 კომიტეტის დადგენილებით, დირექტორს შეიძლება მიეკუთვნოს სხვა კომპეტენციებიც
3.3.4 დირექტორი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ბრძანებებს, რომლებსაც რეგისტრაციაში ატარებს კომიტეტი
3.3.5 დირექტორის მიერ მოვალეობათა შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომიტეტის უხუცესი წევრი
3.3.6 დირექტორის უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა შესაძლებელია:

A. საკუთარი განცხადების საფუძველზე
B. კომიტეტის წევრთა ⅔ –ის გადაწყვეტილებით
C. პროფკავშირის წევრთა ½+1 ხმის გადაწყვეტილებით

3.3.7 დირექტორის უფლებამოსლების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კომიტეტი 30 დღის განმავლობაში აირჩევს ახალ დირექტორს. ახალი დირექტორის არჩევამდე მის მოვალეობას ასრულებს კომიტეტის უხუცესი წევრი

4. პროფკავშირის ფინანსები და ქონება

4.1 საწესდებო მიზნების მისაღწევად, პროფკავშირს შეძლება ჰქონდეს და განკარგავდეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ ქონებას და ფინანსებს
4.2. საწესდებო მიზნების მისაღწევად, პროფკავშირი შეიძლება ეწეოდეს სამეწარმეო (ეკონომიკურ) საქმიანობას. ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს მხოლოდ საწესდებო მიზნებს და არ შეიძლება განაწილდეს პროფკავშირის წევრებს შორის
4.3 პროფკავშირის ფინანსები და ქონება იქმნება საწევრო შენატანების, ნებაყოფლობითი შენატანების, შემოწირულობების, გრანტების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების საშუალებით.

4.4 პროფკავშირის საწევრო შენატანი

4.4.1 პროფკავშირის წევრები ვალდებულნი არიან ყოველთვიურად გადაიხადონ პროფკავშირის საწევრო შენატანი.
4.4.2 საწევრო შენატანის ყოველთვიური ოდენობები:

A. პროფკავშირის დასაქმებული წევრისთვის – ანაზღაურების 1%, მინიმუმ 5 ლარი
B. უმუშევარი წევრებისთვის – 1 ლარი

4.4.3 საწევროს შეტანის წესი განისაზღვრება კომიტეტის განკარგულებით

5. პროფკავშირის დამფუძნებლები არიან:

1. იაზონ დანელია პ/ნ 60002007933; ქუთაისი, ნიკეას 52/6;
2. ლევან ღლონტი პ/ნ 33001010501; ოზურგეთი, კიტა მეგრელიძის 29;
3. გიორგი სანაია პ/ნ 39001032490 ქ. სენაკი, ღვინჯილიას N3 ბინა 7;
4. ბორის ქიტიაშვილი პ/ნ 57001015929; ქ. ხაშური, ჭონქაძის ქ N23;
5. ნიკა აშვეთია პ/ნ 60001126657 ქ. ქუთაისი, მესხიშვილის მესამე შესახვევი N8;
6. მინდია მთვარელიძე პ/ნ 57001013830 ქ. ხაშური, თევდორე მღვდილის N30;
7. ბექა ხერგიანი პ/ნ 01017011108 დაბა მესტია, ბექნო ხერგიანის N13;
8. ტარიელ ცერცვაძე პ/ნ 33001010566 ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ.მერია;
9. ნიკა გელბახიანი პ/ნ 38001033343 ქ. საჩხერე, ბენდელიანის N11;
10. ბადრი კუჭუხიძე პ/ნ 61004012279 ქ. ქობულეთი, მ. კოსტავას N56;
11. გიორგი გულბიანი პ/ნ 60001027660 ქ. ქუთაისი, მუსხელიშვილის ბინა N1/29;
12. მარადი გელაშვილი პ/ნ01023010086 ქ.თბილისი, არბოს ქუჩა, კორპუსი პირველი, ბინა 60;
13. ზაზა ჩანქსელიანი პ/ნ 27001002999 დაბა ლენტეხი, ჭავჭავაძის N 16;
14. ალექსანდრე ვართასაშვილი პ/ნ57001009784 ქ. ხაშური, გაგარინის V ჩიხი N14;
15. გიორგი ნიჟარაძე პ/ნ 57001050756 ქ.ხაშური, სააკაძის N44;
16. შოთა ცინცაძე პ/ნ 01014004485 ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის N 163 ბინა 14;
17. გიორგი ფოცხვერაშვილი პ/ნ 01027030424 თბილისი, ვარკეთილის მესამე მასივი ზემო პლატო კორპუსი 51 ბინა 30;
18. ბადრი კვიკვინია პ/ნ 58001006650 ხობის რაიონი, სოფ. პირველი მაისი;
19. გიორგი გოცირიძე პ/ნ 04001001543 ამბროლაურის რაიონი, სოფ . იწა;
20. ნოდარი შენგელია პ/ნ 35001108103 ქ.რუსთავი წერეთლის 25/2;
21. ლაშა ლომინაძე პ/ნ 33001015712 ოზურგეთი ჭავჭავაძის 8 ბინა 3;
22. საბა გოგია საბა გოგია პ/ნ 39001031682; 577663534 სენაკი, გორის ქ N11;
23. რევაზ კალანდაძე პ/ნ 33001055793, ოზურგეთი, აღმაშენებლის N8;
24. გიორგი ბენდელიანი პ/ნ 27001007013 ლენტეხი, ახალი დასახლების უბანი N1;
25. გეგა სხირტლაძე პ/ნ 01019020464 თბილისი ლიახვის N49;
26. ივანე თათეშვილი პ/ნ 03001003036 ადიგენის რაიონი სოფ არალი;
27. კახა საბანიძე პ/ნ 30001009217 მესტია სოფ.ლახამულა;
28. ნიკა თოდუა პ/ნ 35001116344 ქ.რუსთავი მეგობრობის გამზირი კორპ.19 ბინა 19;
29. ვაჟა ყიასაშვილი პ/ნ 01010007187 ქ თბილისი შავგულიძის 7 ბინა 62;
30. გიორგი წითელაური პ/ნ 08001000189 ქ. ახმეტა სოფ. აწყური;
31. ბესიკ ხუსკივაძე პ/ნ 01017039478 თბილისი მაჩაბლის 1/6;
32. დავით ბერიძე პ/ნ 05001002141 ქ. ახალციხე სერაფიმ ზარზმელის ქუჩა კორპუსი 52 ბინა 12;
33. ვალერი ნარიმანიძე პ/ნ 01019046106 თბილი წერონისის 15ა;
34. თემურაზ ფრუიძე პ/ნ 04001011958 ამბროლაური სოლომონ მეფის ქ N1;
35. ვასილი ჟუჟუნაძე პ/ნ 47001032155 ახალციხე სოფ.მუსხი
36. ბექა ივანიძე პ/ნ 47001037949 ახალციხე სოფ.ურაველი
37. პაპუნა თამარაშვილი პ/ნ 47001037650 ქ. ვალე მანველიშვილის N23
38. ლევანი მგელაძე პ/ნ 42001007982 თბილისი ვაზისუბნის დასახლება კორპუსი5 ბინა 82

39. ზაზა ლიკლიკაძე პ/ნ 21001033247 ქ. თერჯოლა თამარ მეფის N7;
40. ანზორ ცეცხლაძე პ/ნ 61004007147 ქობულეთი, სოფ.ქობულეთი;
41. გიორგი ლურსმანაშვილი პ/ნ 35001060688 რუსთავი კოსტავს 2/38
42. რამინ თაფლაძე პ/ნ 61004008376 ბათუმი კონსელიძის 39ა
43. დიმიტრი ჩიქოვანი პ/ნ 49001001918 ცაგერის რაიონი სოფ.გვესო
44. რობერტ აჯაბხანიანი პ/ნ 47001008994 ახალციხე რუსთაველის 31
45. მამუკა რუხაძე პ/ნ 35001062960 რუსთავი ფიროსმანის კორპ22 ბინა 1
46. აკაკი ჯავახიშვილი პ/ნ 35001106471 რუსთავი თბილის ქუჩა კორპ 16 ბინა1
47. გიორგი ჩაჩანიძე პ/ნ 38001006340 ქ. საჩხერე ქუთაისის N1
48. კახაბერ იზორია პ/ნ 62001007448 სოხუმი ვ. ლაკობას ქ N2 ბინა 28
49. რატი ბაღათურია პ/ნ 39001007792 ქ. სენაკი ბენდელიანის N19
50. გიორგი სარალიძე პ/ნ 35001012223 რუსთავი 12მკრ.რნ კორპ 19 ბინა92
51. დიმიტრი მოსიძე პ/ნ 05001003360 დაბა ასპინძა ვარძიის ქ N91
52. ილია ვალიშვილი პ/ნ 01027059861 ქ. თბილისი ლილოს დასახლება იგორ ტყემალაძის ქ N6
53. ზვიადი ზვიადაური პ/ნ 08001029617 ახმეტა სოფ.ზემო ალვანი
54. ლევანი გელბახიანი 38001000469 საჩხერე ბენდელიანის ქ N12

6. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

6.1 წესდებაში ცვლილებები ძალაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მათი რეგისტრაციის შემდეგ
6.2 საკითხები, რომლებიც ამ წესდებაში არ არიან გათვალისწინებულნი, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით